



სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემია

„საკონფერენციო ნაშრომების და სამეცნიერო ჟურნალში სტატიების შესრულების წესი“

გზამკვლევი

გორი, 2023

სარჩევი

შესავალი-----	4
თავი 1. საკონფერენციო ნაშრომის შესრულების წესი-----	5
თავი 2. სამეცნიერო ჟურნალში სტატიების შესრულების, გაფორმების და წარმოდგენის წესი-----	8
თავი 3. გამოყენებული წყაროების მითითების წესი ჩიკაგოს სტილით -----	11
1. წიგნები-----	12
1.1 ერთი ავტორი ან რედაქტორი -----	12
1.2 ავტორის ნაცვლად რედაქტორი-----	13
1.3 რამდენიმე ავტორი -----	13
1.4 სამი ავტორი-----	13
1.5 ოთხი ან მეტი ავტორი-----	14
1.6 ავტორ(ებ)ი, აგრეთვე, რედაქტორი ან მთარგმნელი-----	14
1.7 რედაქტორის ნაცვლად მთარგმნელი-----	15
2. გამოცემა-----	15
2.1 გამოცემის ნომერი -----	15
2.2 გადაბეჭდილი გამოცემები (ხელახლა დაბეჭდილი)-----	16
3. ტომი -----	16
3.1 წიგნი მრავალტომიანი ნაშრომის ნაწილი-----	16
3.2 მრავალტომეულ ნაშრომის როგორც საერთო რედაქტორი, ისე ყოველი ტომის რედაქტორი ან ავტორი-----	16
4. სათაური, თავები და წიგნის სხვა დასათაურებული ნაწილები -----	17
4.1 წიგნების სრული სათაურები და ქვესათაურები-----	17
4.2 ერთი ავტორის მიერ დაწერილი წიგნების ნაწილები-----	17
4.3 რედაქტირებული კრებულების ნაწილები-----	18
5. ანთოლოგიებში მოთავსებული ნაშრომები -----	18
6. წერილები და სხვა კორესპონდენცია გამოქვეყნებულ კრებულებში-----	19
7. ონლაინ და სხვა ელექტრონული წიგნები-----	19
8. საჟურნალო სტატიები -----	20
8.1 საჟურნალო სტატიის ბეჭდური ვარიანტი -----	20
8.2 ინტერნეტში გამოქვეყნებული ჟურნალის სტატიები -----	20

9. საგაზეთო სტატიები-----	21
10. ბიბლია და სხვა წმინდა წერილები-----	22
11. საცნობარო ლიტერატურა-----	22
11.1 საყოველთაოდ ცნობილი საცნობარო ლიტერატურა -----	22
11.2 ნაკლებად ცნობილი საცნობარო ლიტერატურა-----	22
12. რეცენზიები, კრიტიკული სტატიები-----	22
13. სამეცნიერო სტატიების, საკონფერენციო ნაშრომების, დისერტაციების რეზიუმეების გამოქვეყნება-----	23
14. თემისები და დისერტაციები -----	24
15. ორგანიზაცია როგორც ავტორი -----	24
16. ვებგვერდები -----	25
16.1 ონლაინ წყაროები -----	25
16.2 ავტორის გარეშე ვებგვერდის მითითება -----	25
17. კონგრესის პუბლიკაციები -----	25
18. საპრეზიდენტო გამოცემები -----	26
19. ცხრილები, დიაგრამები და სხვა ვიზუალური მასალა -----	26
20. სტატიის/ნაშრომის შესრულების ნიმუში 1 -----	28
21. სტატიის/ნაშრომის შესრულების ნიმუში 2-----	31
22. სტატიის/ნაშრომის შესრულების ნიმუში 3-----	34

შესავალი

მსოფლიოს ყველა უნივერსიტეტი სტუდენტთა და მეცნიერთა მიერ შექმნილი წერიტი ნაშრომების გასათვორმებლად იყენებს რომელიმე აღიარებულ ფორმატს, ოფიციალურ სტილს, რათა აკადემიური ნაშრომები ერთიან ჩარჩოში მოაქციოს. აკადემიური ტექსტის გაფორმების სტილი არის შეთანხმებათა სისტემა, რომელიც მოიცავს ნაშრომის გაფორმების დეტალურ ინსტრუქციას. ნაშრომი დოკუმენტად მხოლოდ აკადემიური ტექსტის გაფორმების სტილის გამოყენების შედეგად იქცევა.

კვლევის პროცესსა და სათანადო მითითების ფორმებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. სწორედ ამიტომ, ჩვენ მიერ შექმნილი გზამკვლევის ერთ-ერთ თავში წარმოდგენილია „გამოყენებული წყაროების მითითების წესი“, სადაც მოყვანილია სამეცნიერო წყაროების მითითების ნიმუშები.

აღსანიშნავია, რომ კვლევა მკითხველისთვის იმ შემთხვევაშია დამატებელი, თუ ავტორი სრულად იცავს (შესაბამისად, სრულყოფილად ფლობს) სამეცნიერო კვლევის სტანდარტებს. ავტორმა მკითხველს უნდა შესთავაზოს ტექნიკურად გამართული ნაშრომი.

თავი 1 საკონფერენციო ნაშრომის შესრულების წესი

ყოველწლიურ მრავალდარგობრივ საკონფერენციო შრომთა კრებულში წარმოდგენილი ნაშრომები ეძღვნება ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო, სოციალურ და საინჟინრო მეცნიერებათა ყველა დარგის აქტუალური საკითხების კვლევას. გამოცემის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართველი და უცხოელი ავტორების, განსაკუთრებით, ახალგაზრდა სპეციალისტების, მეცნიერული ძიების გაღრმავებას, ორიგინალური კონცეფციების წარმოჩენას, აკადემიური კონტაქტების გაფართოებასა და ერთობლივი სამეცნიერო – კვლევითი პროექტების შექმნას. კრებული გამოიცემა კონფერენციების ჩატარების მიხედვით.

ნაშრომის მიღების წინაპირობა: ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა ტიპის შიდა და საერთაშორისო კონფერენციები: სამხედრო, სამეცნიერო, სტუდენტური (მაგისტრატურა, ბაკალავრიატი). ნაშრომის ავტორი უნდა იყოს დოქტორი/მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, დოქტორანტი, მაგისტრი/მაგისტრანტი ან ბაკალავრი.

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველმა რეგისტრაციის გავლის მიზნით, უნდა წარმოადგინოს განაცხადი ელექტრონულად. ნაშრომში დაცული უნდა იყოს გამოყენებული წყაროს დამოწმების სტილი და ნაშრომის წარმოდგენის წესი. სარედაქციო კოლეგია განიხილავს ნაშრომს, რომელიც გაფორმებულია საკონფერენციო ნაშრომთა კრებულში ნაშრომის შესრულების წესის შესაბამისად.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი გაგზავნილი უნდა იქნას ელექტრონული სახით მითითებულ მისამართზე.

მოთხოვნები საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომის გასაფორმებლად

ნაშრომის აკრეფისას გამოიყენეთ მხოლოდ უნიკოდური ფონტი. ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ Sylfaen ფონტი, ხოლო სხვა ენისთვის Times New Roman.

ნაშრომის წარმოდგენის წესი: სტატიის ენა - ქართული და ინგლისური; ფურცლის ზომა A4; მინდორი: ყველა მხრიდან 2.0; გვერდების რაოდენობა - 8-15;

საკონფერენციო ნაშრომის ტექსტის ფორმატი:

საკონფერენციო ნაშრომის სახელწოდება - ცენტრში(Center), გამუქებული (Bold), შრიფტის ზომა -14, შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე: ქართული და ინგლისური (სავალდებულოა);

ავტორის სახელი, გვარი - ცენტრში, გამუქებული, შრიფტის ზომა 12, შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე: ქართული და ინგლისური (სავალდებულოა);

ავტორის/ავტორების:

ორგანიზაცია/სასწავლო დაწესებულება - ცენტრში, შრიფტის ზომა 12, შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე: ქართული და ინგლისური (სავალდებულოა);

ავტორის/ავტორების:

აფილირება/თანამდებობა/მაგისტრანტი/დოქტორანტი/ბაკალავრიატის იუნკერი/სტუდენტი - ცენტრში, შრიფტის ზომა 12, შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე: ქართული და ინგლისური (სავალდებულოა);

სამეცნიერო წოდება და ხარისხი ცენტრში, შრიფტის ზომა 12, შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე: ქართული და ინგლისური (სავალდებულოა).

აბსტრაქტის შესრულების წესი:

აბსტრაქტი - ცენტრში, გამუქებული, შრიფტის ზომა 12, შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე: ქართული და ინგლისური (სავალდებულოა).

აბსტრაქტის ტექსტი - გათანაბრებული (justify/ Ctrl+J), შრიფტის ზომა 10; სტრიქონებს შორის მანძილი -1, აბზაცებს შორის მანძილი-0 (Paragraph, After 0), აბზაცის ყველა ხაზი უნდა იყოს თანაბრად დაშორებული მარჯვენა ველიდან. თითოეული აბზაცის პირველი სტრიქონი უნდა იყოს შეწეული (5 პოზიციით). აბსტრაქტის ტექსტის მოცულობა უნდა იყოს 300-500 სიტყვა. შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე: ქართული და ინგლისური (სავალდებულოა).

უცხოელ ავტორებს არ ევალებათ ქართულენოვანი აბსტრაქტის გამოგზავნა.

საკვანძო სიტყვები - (მინიმუმ 5 სიტყვა/სიტყვათა კომბინაცია) უნდა იყოს ორ ენაზე: ქართული და ინგლისური (სავალდებულოა).

საკონფერენციო ნაშრომის ტექსტი - გათანაბრებული (Justify/Ctrl+J), შრიფტის ზომა 12; სტრიქონებს შორის მანძილი -1,5; აბზაცებს შორის მანძილი - 0(Paragraph, After

0). აბზაცის ყველა ხაზი უნდა იყოს თანაბრად დაშორებული მარჯვენა ველიდან. თითოეული აბზაცის პირველი სტრიქონი უნდა იყოს შეწეული (5 პოზიციით).

გამოყენებული ლიტერატურა - უნდა განთავსდეს ახალ გვერდზე, ცენტრში, შრიფტის ზომა - 12.

საკონფერენციო ნაშრომის სტრუქტურა უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს:

შესავალი - თემის არეალი და მნიშვნელობა, ნაშრომის აქტუალობა, მკითხველისთვის საკითხის გაცნობა, აღნიშნულ თემაზე ჩატარებული კვლევების ანალიზი/მიმოხილვა და საკუთარი ჰიპოთეზის ჩამოყალიბება.

ამ თავში განხილული უნდა იყოს თუ, რატომ არის მკითხველისთვის ნაშრომი ღირებული მეცნიერული კუთხით.

ძირითადი ნაწილი - მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიას და მიღებულ შედეგებს;

დასკვნითი ნაწილი - მოიცავს მიგნებებს, შესაძლო რეკომენდაციებსა და სამომავლო პერსპექტივებს.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - ბიბლიოგრაფიაში აღნუსხული ლიტერატურა არ ინომრება და არ ინიშნება, ჩამონათვალი უნდა დალაგდეს ანბანური თანმიმდევრობით ავტორების (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სათაურის) გვარების მიხედვით, ჯერ ქართული, შემდეგ უცხოური გამოცემები. ბიბლიოგრაფიული მონაცემები არ ითარგმნება და წყარო მონშდება დედნის ენაზე. მაგალითად, ინგლისურენოვან წყაროებს მითითება ხდება ინგლისურ ენაზე.

სქოლიო

სქოლიო თავსდება სტატიის ტექსტში გვერდების ბოლოს. შესაძლებელია ჩანდეს როგორც სტატიის ტექსტში ციტირებული და პერიფრაზებული წყარო (ლიტერატურა, ნორმატიული მასალა, სასამართლო პრაქტიკა), რომელიც ინომრება ციფრებით (შრიფტის ზომა-10), ასევე, ავტორისეული შენიშვნები (განმარტებები), აღინიშნება ფიფქით * და შესაბამისად, არ ინომრება.

წყაროს მითითება უნდა გაკეთდეს არაბული ნუმერაციით სქოლიოს (footnote) სახით. (ციტირებების მოსანიშნად ვიყენებთ არაბულ რიცხვებს, რეფერირების დასამატებლად წინადადების ბოლოს, სასვენი ნიშნის შემდეგ გადავდივართ References მენიუში და ვაჭერთ Insert Footnote).

ტექსტში მოცემულ სქოლიოს უნდა უსწრებდეს ჩამკვეტი სასვენი ნიშანი (წერტილი, ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშანი). სასვენ ნიშნამდე სქოლიოს გამოყენება დასაშვებია ცალკეული სიტყვის ან ტერმინის განმარტების მიზნით;

ცხრილები, დიაგრამები

ნაშრომში ცხრილები, დიაგრამები და სხვა ვიზუალური მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს: ცენტრში, TIFF, PNG, JPEG-ფორმატებში, დასათაურება უნდა განთავსდეს ცხრილის/დიაგრამის და სხვა, გამოსახულების ქვემოთ შრიფტის ზომა 8.

გაითვალისწინეთ:

1. საკონფერენციო ნაშრომის კრებულში დასაბეჭდად გამოგზავნილი ყველა ნაშრომი გაივლის შემოწმებას პლაგიატის აღმოჩენ პროგრამაზე „turnitin”. ნაშრომი, ფასდება დადებითად თუ: მსგავსების კოეფიციენტი არ აღემატება 10 %-ს;
2. საკონფერენციო ნაშრომის კრებულში დასაბეჭდად გამოგზავნილი ნაშრომები გაივლის ორეტაპიან ფარულ რეცენზიას დარგის ექსპერტებთან. ექსპერტთა დასკვნებს შორის სხვაობის შემთხვევაში, სტატია შესაფასებლად გადაეგზავნება მესამე რეცენზენტს. სტატიები დაიბეჭდება დადებითი რეცენზიის მიღების შემთხვევაში. სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებელი იქნება სტატიის ავტორი/ავტორები.

თავი 2

სამეცნიერო ჟურნალში სტატიების შესრულების, გაფორმების და წარმოდგენის წესი

სამეცნიერო ჟურნალის მიზანია ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, სოციალური და საინჟინრო მეცნიერებების ყველა დარგში მოღვაწე აკადემიური/მონწვეული პერსონალის, დოქტორის/მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირის, დოქტორანტის, მიღწევების პოპულარიზაცია.

სტატიის მიღების წინაპირობა: ავტორი უნდა იყოს დოქტორი/მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, დოქტორანტი ან მაგისტრი/მაგისტრანტი. სტატიის დაბეჭდვის მსურველმა რეგისტრაციის გავლის მიზნით, უნდა წარმოადგინოს განაცხადი ელექტრონულად, სტატიაში დაცული უნდა იყოს გამოყენებული წყაროს დამონებების სტილი და სტატიის წარმოდგენის წესი. სარედაქციო კოლეგია განიხილავს ნაშრომს, რომელიც გაფორმებულია „სამეცნიერო ჟურნალში სტატიების შესრულების, გაფორმების და წარმოდგენის წესის“ შესაბამისად.

გამოსაქვეყნებელი სტატია გაგზავნილი უნდა იქნას ელექტრონული სახით მითითებულ მისამართზე.

მოთხოვნები სამეცნიერო ნაშრომის გასათვორმებლად

სტატიის აკრეფისას გამოიყენეთ მხოლოდ უნიკოდური ფონტი. ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ Sylfaen ფონტი, ხოლო სხვა ენისთვის Times New Roman.

სტატიის წარმოდგენის წესი: სტატიის ენა - ქართული და ინგლისური; ფურცლის ზომა A4; მინდორი: ყველა მხრიდან 2.5; გვერდების რაოდენობა - 8-15;

სტატიის ტექსტის ფორმატი:

სტატიის სახელწოდება - ცენტრში(Center), გამუქებული (Bold), შრიფტის ზომა -14, შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე: ქართული და ინგლისური (სავალდებულოა);

ავტორის სახელი, გვარი - ცენტრში, გამუქებული, (Bold), შრიფტის ზომა 12, შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე: ქართული და ინგლისური (სავალდებულოა);

ავტორის/ავტორების: ორგანიზაცია/ სასწავლო დაწესებულება - ცენტრში, შრიფტის ზომა 12, შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე: ქართული და ინგლისური (სავალდებულოა);

ავტორის/ავტორების: აფილირება/თანამდებობა/მაგისტრანტი/დოქტორანტი - ცენტრში, შრიფტის ზომა 12, შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე: ქართული და ინგლისური (სავალდებულოა);

ავტორის/ავტორების: სამეცნიერო წოდება და ხარისხი - ცენტრში, შრიფტის ზომა 12, შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე: ქართული და ინგლისური (სავალდებულოა).

აბსტრაქტის შესრულების წესი:

აბსტრაქტი - ცენტრში, გამუქებული, შრიფტის ზომა 12, შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე: ქართული და ინგლისური (სავალდებულოა).

აბსტრაქტის ტექსტი - გათანაბრებული (justify/ Ctrl+J), შრიფტის ზომა 10; სტრიქონებს შორის მანძილი -1, აბზაცებს შორის მანძილი-0 (Paragraph, After 0), აბზაცის ყველა ხაზი უნდა იყოს თანაბრად დაშორებული მარჯვენა ველიდან. თითოეული აბზაცის პირველი სტრიქონი უნდა იყოს შეწეული (5 პოზიციით). აბსტრაქტის ტექსტის მოცულობა უნდა იყოს 300-500 სიტყვა. შესრულებული უნდა იყოს ორ ენაზე: ქართული და ინგლისური (სავალდებულოა).

უცხოელ ავტორებს არ ევალებათ ქართულენოვანი აბსტრაქტის გამოგზავნა.

საკვანძო სიტყვები - (მინიმუმ 5 სიტყვა/სიტყვათა კომბინაცია) უნდა იყოს ორ ენაზე: ქართული და ინგლისური (სავალდებულოა).

სტატიის ტექსტი - გათანაბრებული (Justify/Ctrl+J), შრიფტის ზომა 12; სტრიქონებს შორის მანძილი -1,5; აბზაცებს შორის მანძილი - 0(Paragraph, After 0). აბზაცის ყველა

ხაზი უნდა იყოს თანაბრად დაშორებული მარჯვენა ველიდან. თითოეული აბზაცის პირველი სტრიქონი უნდა იყოს შეწეული (5 პოზიციით).

გამოყენებული ლიტერატურა უნდა განთავსდეს ახალ გვერდზე, ცენტრში, გამუქებული, შრიფტის ზომა - 12.

სტატიის სტრუქტურა უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს:

შესავალი - თემის არეალი და მნიშვნელობა, ნაშრომის აქტუალობა, მკითხველისთვის საკითხის გაცნობა, აღნიშნულ თემაზე ჩატარებული კვლევების ანალიზი/მიმოხილვა და საკუთარი ჰიპოთეზის ჩამოყალიბება.

ამ თავში განხილული უნდა იყოს თუ, რატომ არის მკითხველისთვის ნაშრომი ღირებული მეცნიერული კუთხით.

ძირითადი ნაწილი მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიას და მიღებულ შედეგებს;

დასკვნითი ნაწილი მოიცავს მიგნებებს, შესაძლო რეკომენდაციებსა და სამომავლო პერსპექტივებს.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, ბიბლიოგრაფიაში აღნუსხული ლიტერატურა არ ინომრება და არ ინიშნება, ჩამონათვალი უნდა დალაგდეს ანბანური თანმიმდევრობით ავტორების (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სათაურის) გვარების მიხედვით, ჯერ ქართული, შემდეგ უცხოური გამოცემები. ბიბლიოგრაფიული მონაცემები არ ითარგმნება და წყარო მონმდება დედნის ენაზე. მაგალითად, ინგლისურენოვან წყაროებს მითითება ხდება ინგლისურ ენაზე.

სქოლიო:

სქოლიო თავსდება სტატიის ტექსტში გვერდების ბოლოს. შესაძლებელია ჩანდეს როგორც სტატიის ტექსტში ციტირებული და პერიფრაზებული წყარო (ლიტერატურა, ნორმატიული მასალა, სასამართლო პრაქტიკა), რომელიც ინომრება ციფრებით (შრიფტის ზომა-10), ასევე, ავტორისეული შენიშვნები (განმარტებები), აღინიშნება ფიფქით * და შესაბამისად, არ ინომრება.

წყაროს მითითება უნდა გაკეთდეს არაბული ნუმერაციით სქოლიოს (footnote) სახით. (ციტირებების მოსანიშნად ვიყენებთ არაბულ რიცხვებს, რეფერირების დასამატებლად წინადადების ბოლოს, სასვენი ნიშნის შემდეგ გავდივართ References მენიუში და ვაჭერთ Insert Footnote).

ტექსტში მოცემულ სქოლიოს უნდა უსწრებდეს ჩამკვეტი სასვენი ნიშანი (წერილი, ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშანი). სასვენ ნიშნამდე სქოლიოს გამოყენება დასაშვებია ცალკეული სიტყვის ან ტერმინის განმარტების მიზნით;

ცხრილები, დიაგრამები:

ნაშრომში ცხრილები, დიაგრამები და სხვა ვიზუალური მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს: ცენტრში, TIFF, PNG, JPEG-ფორმატებში, დასათაურება უნდა განთავსდეს ცხრილის/დიაგრამის და სხვა, გამოსახულების ქვემოთ შრიფტის ზომა 8.

გაითვალისწინეთ:

1. უურნალში დასაბეჭდად გამოგზავნილი ყველა სტატია გაივლის შემოწმებას პლაგიატის აღმომჩენ პროგრამაზე „turnitin”. ნაშრომი, ფასდება დადებითად თუ: მსგავსების კოეფიციენტი არ აღემატება 10 %-ს;
2. უურნალში დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატია გაივლის ორეტაპიან ფარულ რეცენზიას დარგის ექსპერტებთან. ექსპერტთა დასკვნებს შორის სხვაობის შემთხვევაში, სტატია შესაფასებლად გადაეგზავნება მესამე რეცენზენტს. სტატიები დაიბეჭდება დადებითი რეცენზიის მიღების შემთხვევაში. სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებელი იქნება სტატიის ავტორი/ავტორები.

თავი 3

გამოყენებული წყაროების მითითების წესი ჩიკაგოს სტილით

წყაროების მითითების მრავალი ფორმატი არსებობს, მათ შორის, ყველაზე ხშირად გამოყენებადი APA, MLA და ჩიკაგოს სტილი. ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური სტილის შესაქმნელად გამოყენებული იქნება ჩიკაგოს სტილის პრინციპები. ჩიკაგოს სტილი, თავის მხრივ, გვთავაზობს წყაროების მითითების ორ სისტემას: 1) შენიშვნისა (სქოლიოს) და ბიბლიოგრაფიის ფორმატი; 2) ტექსტში ჩართული მითითებისა და ბიბლიოგრაფიის ფორმატი.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ შერჩეულია ჩიკაგოს შენიშენისა (სქოლიოს) და ბიბლიოგრაფიის ფორმატის აკადემიური სტილი, დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ [ბმული](#)

შენიშვნებში წყაროს დამონშებისას მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ შემდეგი მითითებები:

შენიშვნებში წყაროს პირველად დამონშებისას უნდა მიუთითოთ წყაროს შესახებ სრული მონაცემები: ავტორი, სათაური, ინფორმაცია გამოცემის შესახებ და გვერდ(ებ)ის ნომერი.

-წყაროს ხელმეორედ გამოყენებისას იწერება მისი შემოკლებული მონაცემები:

ავტორის გვარი, შემოკლებული სათაური, გვერდების ნომერი.

-წინამდებარე წყაროს გამოყენებისას იწერება მხოლოდ მითითება – იქვე და გვერდ(ებ)ის ნომერი (უცხოენოვან წყაროზეც ლათინური *ibidem*, შემოკლებით *ibid*)

ნიმუში:

1. ჯარედ დაიმონდი, იარალი, ბაქტერიები და ფოლადი: ადამიანთა ხვედრი (ნიუ-იორკი: გამომცემლობა „ნორტონი და კომპანია“, 1997), 47-50.
2. დაიმონდი, იარალი, ბაქტერიები და ფოლადი: ადამიანთა ხვედრი, 76.
3. იქვე, 79.

წყაროს მითითება და შენიშვნები (განმარტებები) ერთ სქოლიოში

თუ კი ერთი კონკრეტული სქოლიო მოიცავს ერთდროულად მითითებას წყაროზე და შენიშვნას (განმარტება), პირველ რიგში უნდა ჩაისვას მითითებული წყარო, შემდეგ კი ცალკე წინადადებაში ავტორისეული შენიშვნა (გამარტება). ამ შემთხვევაში ინომრება მხოლოდ სქოლიოში მითითებული ლიტერატურა, ხოლო შენიშვნის ფიფქით აღნიშვნა აღარ მოხდება.

წყაროს შენიშვნებში მითითების ფორმატი, ე.წ. ტექსტქვეშა დამონშება, მეტწილად ჰუმანიტარულ და ზოგიერთ სოციალურ მეცნიერებებში გვხვდება. ამ შემთხვევაში წყაროს მითითება ხდება წინადადების ბოლოს სქოლიოს ინდექსის დასმით და სათანადოდ დანომრილ შენიშვნებში, გვერდის ბოლოს, წყაროს სრული მონაცემების მითითებით. დამონშების ამგვარი სისტემა, ერთის მხრივ, მოსახერხებელია, რადგან მკითხველს იქვე შეუძლია შეამოწმოს წყაროს სრული მონაცემები, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ინფორმაციის გამეორებას განაპირობებს: შენიშვნებში დამონშებული წყაროები ნაშრომის ბოლოს დართულ ბიბლიოგრაფიაშიც უნდა აღინუსხოს.

ნიმუში:

ტექსტში:

ის აცხადებს, რომ „...“.¹

სქოლიოში:

1. ჯარედ დაიმონდი, *იარალი, ბაქტერიები და ფოლადი: ადამიანის ბედისწერა* (ნიუ-იორკი: გამომცემლობა „ნორტონი და კომპანია“, 1997), 47.

ბიბლიოგრაფიაში:

დაიმონდი, ჯარედ. *იარალი, ბაქტერიები და ფოლადი: ადამიანის ბედისწერა*. ნიუ-იორკი: გამომცემლობა „ნორტონი და კომპანია“, 1997.

1. წიგნები

1.1 ერთი ავტორი ან რედაქტორი

შენიშვნებში ავტორების სახელები და გვარები ჩამოთვალეთ სტანდარტული რიგითობით (პირველ რიგში, მიუთითეთ სახელი)

სქოლიოში:

შენიშვნის ნომერი. ავტორის სახელი და გვარი, *წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური* (გამოცემის ადგილი: გამომცემლობის დასახელება, გამოცემის თარიღი), გვერდ(ებ)ის ნომერი.

1. ჯარედ დაიმონდი, *იარალი, ბაქტერიები და ფოლადი: ადამიანების ბედისწერა* (ნიუ-იორკი: გამომცემლობა „ნორტონი და კომპანია“, 1997), 47-48.

ბიბლიოგრაფიაში:

ბიბლიოგრაფიის მუხლებში ავტორების სახელები და გვარები ჩამოწერეთ შებენიერი თანმიმდევრობით (პირველ რიგში, მიუთითეთ გვარი).

ავტორის გვარი, ავტორის სახელი. *წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური*. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება, გამოცემის თარიღი, გვერდების რაოდენობა.

დაიმონდი, ჯარედ. *იარალი, ბაქტერიები და ფოლადი: ადამიანის ბედისწერა*. ნიუიორკი: გამომცემლობა „ნორტონი და კომპანია“, 1997, 580.

1.2 ავტორის ნაცვლად რედაქტორი

იმ წიგნის მითითებისას, რომელსაც ავტორის ნაცვლად რედაქტორი ჰყავს, სქემა ასე შეცვალეთ:

სქოლიოში:

შენიშვნის ნომერი. რედაქტორის სახელი და გვარი, რედ. *წიგნის სათაური...*
7. მარკ ე. ნოლი, რედ., *რელიგია და ამერიკის პოლიტიკა...*

ბიბლიოგრაფიაში:

რედაქტორის გვარი, რედაქტორის სახელი, რედ. *წიგნის სათაური...*

ნოლი, მარკ ე., რედ., *რელიგია და ამერიკის პოლიტიკა...*

1.3 რამდენიმე ავტორი

წიგნის შემთხვევაში, რომელსაც ორი ავტორი ჰყავს, გამოიყენეთ შემდეგი სქემა: სქოლიოში:

თუ წიგნს ერთზე მეტი ავტორი ჰყავს, შენიშვნაში მიუთითეთ ყველა სახელი და გვარი სტანდარტული თანმიმდევრობით. სამი ან მეტი ავტორის შემთხვევაში „და“-ს წინ დაუსვით მძიმე. თუ ოთხი ან მეტი ავტორია, მიუთითეთ მხოლოდ პირველი ავტორის სახელი და გვარი, შემდეგ კი და სხვები. (მძიმის წამძღვარების გარეშე).

შენიშვნის ნომერი. პირველი ავტორის სახელი და გვარი, და მეორე ავტორის სახელი და გვარი, *წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური* (გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება, გამოცემის თარიღი), გვერდ(ებ)ის ნომერი.

8. კაი ბერდი, და მარტინ ჯ. შერვინი, *ამერიკელი პრომეთე: ჯ. რობერტ ოპენჰაიმერის ტრიუმფი და ტრაგედია* (ნიუ-იორკი: ალფრედ ა. კნოპფი, 2005), 52.

ბიბლიოგრაფიაში:

პირველი ავტორის სახელი და გვარი შებრუნებული თანმიმდევრობით, დაურთეთ მძიმე და ჩამოთვალეთ დანარჩენი ავტორები სტანდარტული თანმიმდევრობით. მიუთითეთ ყველა ავტორი, მათი რაოდენობის მიუხედავად; არ გამოიყენოთ და სხვები.

პირველი ავტორის გვარი, პირველი ავტორის სახელი, და მეორე ავტორის სახელი და გვარი. *წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური*. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება, გამოცემის თარიღი.

ბერდი, კაი, და მარტინ ჯ. შერვინი. *ამერიკელი პრომეთე: ჯ. რობერტ ოპენჰაიმერის ტრიუმფი და ტრაგედია*. ნიუ-იორკი: ალფრედ ა. კნოპფი, 2005.

1.4 სამი ავტორი

თუ წიგნს სამი ავტორი ჰყავს, სტრუქტურა შეცვალეთ შემდეგნაირად:

სქოლიოში:

შენიშვნის ნომერი. პირველი ავტორის სახელი და გვარი, მეორე ავტორის სახელი და გვარი, და მესამე ავტორის სახელი და გვარი, *წიგნის სათაური...*

5. ჯოის ეფელბაი, ლინ ჰანტი, და მარგარეტ ჯეიქობი. *სიმართლე ისტორიის შესახებ*

ბიბლიოგრაფიაში:

პირველი ავტორის გვარი, პირველი ავტორის სახელი, მეორე ავტორის სახელი, და გვარი და მესამე ავტორის სახელი და გვარი, *წიგნის სათაური...*

ეფელბაი, ჯოისი, ლინ ჰანტი, და მარგარეტ ჯეიქობი. *სიმართლე ისტორიის შესახებ...*

1.5 ოთხი ან მეტი ავტორი

თუ წიგნს ოთხი ან მეტი ავტორი ჰყავს, შენიშვნის სტრუქტურა მხოლოდ ასეთი სახით შეცვალეთ:

სქოლიოში:

შენიშვნის ნომერი. პირველი ავტორის სახელი და გვარი და სხვები, *წიგნის სათაური...*

15. უაკლინ დაუდ ჰოლი და სხვ., *ოჯახივით..*

ბიბლიოგრაფიაში:

ჩამოთვალეთ ყველა ავტორი: პირველი ავტორის გვარი, პირველი ავტორის სახელი, მეორე ავტორის სახელი და გვარი, მესამე ავტორის სახელი და გვარი, და მეოთხე ავტორის სახელი და გვარი, *წიგნის სათაური...*

ეფელბაი, ჯოის, ლინ ჰანტი, მარგარეტ ჯეიქობი, და უაკლინ დაუდ ჰოლი. *ოჯახივით..*

1.6 ავტორ(ებ)ი, აგრეთვე, რედაქტორი ან მთარგმნელი

თუ წიგნს ავტორის გარდა რედაქტორიც ჰყავს, გამოიყენეთ შემდეგი სტრუქტურა:

სქოლიოში:

რედაქტორის ან მთარგმნელის სახელის და გვარის წინ ჩასვით აბრევიატურა რედ. (და არასდროს რედ-ები., ვინაიდან ამ კონტექსტში იგი აღნიშნავს „რედაქტირებულია ... X -ის მიერ” და არა `რედაქტორი”) ან მთარგ.

შენიშვნის ნომერი. ავტორის სახელი და გვარი, *წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური, რედ. რედაქტორის სახელი და გვარი (გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება, გამოცემის თარიღი), გვერდ(ებ)ის ნომერი..*

9. ჯ.ბ. ჰარლი, *რუკების ახალი სახეობა: ესეები კარტოგრაფიის ისტორიაში*, რედ.

პოლ ლექსტონი (ბალტიმორი: ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002), 132-33.

ბიბლიოგრაფიაში:

სტატიებში რედაქტორის ან მთარგმნელის სახელის და გვარის წინ ჩასვით ფრაზა რედაქტირებულია ... მიერ ან თარგმნილია ... მიერ.

ავტორის გვარი, ავტორის სახელი. *წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური. რედაქტირებულია რედაქტორის სახელი და გვარი მიერ. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება, გამოცემის თარიღი.*

ჰარლი, ჯ.ბ., *რუკების ახალი სახეობა: ესეები კარტოგრაფიის ისტორიაში*. რედაქტირებულია პოლ ლექსტონის მიერ. ბალტიმორი: ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002.

1.7 რედაქტორის ნაცვლად მთარგმნელი

თუ წიგნს რედაქტორის ნაცვლად მთარგმნელი ჰყავს, რედაქტორის შესახებ ინფორმაციის ნაცვლად ჩასვით სიტყვები თარგმ. და თარგმნილია და მთარგმნელის სახელი და გვარი მიერ.

2 გამოცემა

2.1 გამოცემის ნომერი

თუ კი მიუთითებთ წიგნს, რომელიც გამოქვეყნდა არაერთი გამოცემის სახით, ყოველთვის მიუთითეთ, რომელი გამოცემით ისარგებლეთ, ვინაიდან გამოცემები შეიძლება, განსხვავებული იყოს.

პირველის გარდა სხვა გამოცემის მითითებისას, სათაურის შემდეგ მიუთითეთ გამოცემის რიგითი ნომერი ან აღწერა. შეამოკლეთ ისეთი ფორმულირება, როგორცაა „მეორე გამოცემა, განახლებული და გავრცობილი“, როგორც „მე-2 გამოც.“ შეამოკლეთ „განახლებული გამოცემა“ როგორც `განახ. გამოც.`; აღწერას დაურთეთ მხოლოდ მითითებული გამოცემის და არა სხვა ნებისმიერი წინა გამოცემის გამოქვეყნების თარიღი.

სქოლიოში:

შენიშვნის ნომერი. ავტორის სახელი და გვარი, წიგნის სათაური: წიგნის ქვესათაური, გამოცემის ნომერი გამოც. (გამოცემის ადგილი: გამომცემლობის დასახელება, გამოცემის თარიღი), გვერდ(ებ)ის ნომერი..

11. როჯერ დენიელსი, *ამერიკაში ჩამოსვლა: იმიგრაციის ისტორია და ეთნიკური ფაქტორი ამერიკის ცხოვრებაში*, მე-2 გამოც. (ნიუ-იორკი: გამომცემლობა ჰარპერ პერენიალი, 2002), 84.

ბიბლიოგრაფიაში:

ავტორის გვარი, ავტორის სახელი, წიგნის სათაური: წიგნი ქვესათაური. გამოცემის ნომერი გამოც. გამოცემის ადგილი: გამომცემლობის სახელწოდება, გამოცემის თარიღი.

დენიელსი, როჯერ. *ამერიკაში ჩამოსვლა: იმიგრაციის ისტორია და ეთნიკური ფაქტორი ამერიკის ცხოვრებაში*. მე-2 გამოც. ნიუ-იორკი: გამომცემლობა ჰარპერ პერენიალი, 2002.

2.2 გადაბეჭდილი გამოცემები

შესაძლებელია, აგრეთვე, წიგნის ხელახლა გამოცემა ახალ ფორმატში, მაშინაც კი, როცა წიგნის შინაარსი შესაძლოა, მინიმალურად იყოს შეცვლილი ორიგინალთან შედარებით, მიუთითეთ გადაბეჭდილი გამოცემა, თუ მას ეყრდნობოდით.

სქოლიოში:

23. პიტერ ვარდ ფეი. *ოპიუმის ომი, 1840-1842* (1975; გადაბეჭ., ჩეფელ ჰილი: ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997), 67-68.

ბიბლიოგრაფიაში:

ემერსონ, რალფ ვალდო. *ბუნება*. 1836. გადაბეჭ., ბოსტონი: გამომცემლობა "ბიკონი", 1985.

3. ტომი

3.1 წიგნი მრავალტომიანი ნაშრომის ნაწილი

თუ წიგნი მრავალტომიანი ნაშრომის ნაწილია, ჩართეთ ეს ინფორმაცია მითითებებში.

კონკრეტული ტომი. ის, თუ როგორ მიუთითებთ მრავალტომიანი ნაშრომის კონკრეტულ ტომს, დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა ტომს მთელი ნაშრომისგან განსხვავებული სათაური. თუ ასეა, მიუთითეთ კონკრეტული ტომის სათაური, მის შემდეგ კი როგორც ტომის ნომერი, ისე, ზოგადი სათაური. შეამოკლეთ ტომი (ტ.) და ტომის ნომრებისთვის გამოიყენეთ არაბული ციფრები.

სქოლიოში:

10. იაროსლავ პელიკანი. *ქრისტიანული დოქტრინა და თანამედროვე კულტურა (1700 წლიდან), ქრისტიანული ტრადიცია: დოქტრინის განვითარების ისტორია*, ტ. 5 (ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989). 16

ბიბლიოგრაფიაში:

ელიკანი, იაროსლავ. *ქრისტიანული დოქტრინა და თანამედროვე კულტურა (1700 წლიდან). ქრისტიანული ტრადიცია: დოქტრინის განვითარების ისტორია*, ტ. 5. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989.

3.2 მრავალტომეულ ნაშრომის როგორც საერთო რედაქტორი, ისე ყოველი-ტომის რედაქტორი ან ავტორი

ზოგმრავალტომეულ ნაშრომს ჰყავს როგორც საერთო რედაქტორი, ისე ყოველი ტომის რედაქტორი ან ავტორი. ასეთი ნაშრომების ნაწილების მითითებისას, დაურთეთ ინფორმაცია რედაქტორის ან ავტორის შესახებ კონკრეტული ტომის სათაურის შემდეგ და ტომის ნომრის და საერთო სათაურის წინ.

სქოლიოში:

40. ბარბარა ე. მუნდი, „ცენტრალური ამერიკის კარტოგრაფია“. *ნაშრომში კარტოგრაფია ამერიკის, ამერიკის, არქტიკის, ავსტრალიის და წყნარი ოკეანის აუზის ტრადიციულ*

საზოგადოებებში, რედ. დევიდ ვუდვორდი და ჯ. მალკოლმ ლუისი, „კარტოგრაფიის ისტორია“ ტ. 2, წ. 3, რედ. ჯ. ბრაიან ჰარლი და დევიდ ვუდვორდი (ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998), 233.

ბიბლიოგრაფიაში:

დონი, ჯონ. “იუბილეები” რედაქტირებულია გერი ა. სტრინჯერის და თედ ლარი ჰებვორთის მიერ. *ჯონ დონის პოეზიის გამოცემა სხვადასხვა ტექსტით*, ტ. 6, რედაქტირებულია გერი ა. სტრინჯერის მიერ. ბლუმინგტონი: ინდიანას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995.

4. სათაური, თავები და წიგნის სხვა დასათაურებული ნაწილები

4.1 წიგნების სრული სათაურები და ქვესათაურები.

ჩამოთვალეთ წიგნების სრული სათაურები და ქვესათაურები. დაწერეთ ორივე დახრილი შრიფტით და გამოყავით სათაური ქვესათაურისგან ორწერტილით. თუ ორი ქვესათაურია, პირველისწინ დასვით ორწერტილი, მეორეს წინ კი – წერტილმძიმე.

სქოლიოში:

29.იან ჰ. კალიცკი და დევიდ ლ. გოლდვინი, რედ.-ები, *ენერგეტიკა და უსაფრთხოება: საგარეო პოლიტიკაში ახალი სტრატეგიისკენ* (ბალტიმორი: ჯოჰ ჰოპკინსის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005), 195-96.

ბიბლიოგრაფიაში:

აჰმედ, ლეილა. *საზღვარგარეთ მოგზაურობა: კაიროდან ამერიკაში: ერთი ქალის მოგზაურობის ისტორია*. ნიუ-იორკი: თარერი, სტრაუსი და უირო, 1999.

4.2 ერთი ავტორის მიერ დაწერილი წიგნების ნაწილები.

თუ მიუთითებთ ერთი ავტორის მიერ დაწერილი წიგნის დასათაურებულ ნაწილს, პირველ რიგში მიუთითეთ ამ ნაწილის სათაური სწორი შრიფტით, მოათავსეთ ბრჭყალებში. აღნიშვნის „წიგნში ---...“ შემდეგ მიუთითეთ წიგნის სათაური.

სქოლიოში:

1. ჯონ ჩარლზ ჩესტინი, „ნეოკოლონიალიზმი“, წიგნში ---, „სისხლსა და ცეცხლში დაბადებული: ლათინური ამერიკის მოკლე ისტორია“ (ნიუ-იორკი: გამომცემლობა “ნორტონი და კომპანია”, 2001), 190-91.

ბიბლიოგრაფიაში:

ჩესტინი, ჯონ ჩარლზ. „ნეოკოლონიალიზმი“. წიგნში --- „სისხლსა და ცეცხლში დაბადებული: ლათინური ამერიკის მოკლე ისტორია“, 179-206. ნიუ-იორკი: გამომცემლობა „ნორტონი და კომპანია“, 2001.

4.3 რედაქტირებული კრებულების ნაწილები.

თუ მიუთითებთ რედაქტირებული კრებულის ნაწილს, რომელიც მოიცავს მრავალ ავტორის ნაშრომს, პირველ რიგში, მიუთითეთ ნაწილის ავტორი და სათაური (სწორი შრიფტით, ბრჭყალებში ჩასმული). სიტყვის „წიგნში ...“ შემდეგ მიუთითეთ წიგნის სათაური და რედაქტორის სახელი და გვარი.

ბიბლიოგრაფიის მუხლში წიგნის სათაურის შემდეგ მიუთითეთ ამ ნაწილის გვერდების სრული ინტერვალი; შენიშვნაში მიუთითეთ გვერდის ნომერი (ნომრები) კონკრეტული ლიტერატურისთვის, როგორც ნებისმიერი სხვა ციტატის შემთხვევაში.

სქოლიოში:

5. ენ ქარი და დაგლას ჯ. შურმანი, „რელიგია და ფემინიზმი: რეფორმისტული ქრისტიანული ანალიზი“, წიგნში „რელიგია, ფემინიზმი და ოჯახი“, რედ. ენ ქარი და მერი სტიუარტ ფონ ლიუენი (ლუისვილი, კენტუკი: გამომცემლობა „უესტმინსტერ ჯონ ნოხ პრესი“, 1996), 13-14.

ბიბლიოგრაფიაში:

